

შიდა პოლიტიკა

1. კონსტიტუცია და პოლიტიკური სისტემა: როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოს კონსტიტუციისა და სახელმწიფო მოწყობის მიმართ? აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას?

ქრისტიან-დემოკრატები მხარს ვუჭერთ დაბალანსებულ საკონსტიტუციო სისტემას ძლიერი პარლამენტით, რომელიც აყალიბებს მთავრობას და პრეზიდენტით, რომელიც ძლიერი არბიტრის ფუნქციით არის აღჭურვილი. ამიტომაც ჩვენ დავუჭირეთ მხარი საკონსტიტუციო რეფორმას, რომლის მიზანი არის ერთმმართველი პრეზიდენტის ინსტიტუტის შესუსტება. თუმცა არსებულ საკონსტიტუციო მოდელში არის საფრთხე, რაც გულისხმობს პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის გაძლიერებას და მისგან ახალი დაუბალანსებელი სისტემის მიღებას. ამის აღმოსაფხვრელად:

1. გამარტივდება მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა, რაც გამორიცხავს უნდობლობის პოზიტიური ვოტუმის. არსებობას და შემცირდება საპარლამენტო განხილვის არსებული ვადები;
2. პრემიერ-მინისტრი ვალდებული იქნება, მინისტრების 1/3-ის შეცვლის შემთხვევაში, მთავრობის ნდობის მისაღებად, მიმართოს პარლამენტს (არსებული ნორმა, რომელიც ახალ მოდელში აღარ არის გათვალისწინებული).

დღევანდელ მოდელში ასევე შენარჩუნებულია პრეზიდენტის პირდაპირ არჩევის ინსტიტუტი, რაც მას საპარლამენტო-საპრეზიდენტო მოდელთან აახლოვებს. თუმცა, ქრისტიან-დემოკრატები საბოლოოდ მხარს ვუჭერთ სრულად საპარლამენტო მოდელს, სადაც პრეზიდენტი ირჩევა პარლამენტის მიერ, რადგან რჩევების გამართვა ყოველ წელს და მასთან დაკავშირებული არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა აფერხებს ინვესტიციების მოზიდვას და ხელს უშლის ეკონომიკის განვითარებას.

2. განათლება: როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ და რა პოლიტიკას გვთავაზობთ დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?

ქრისტიან-დემოკრატებს მიგვაჩნია, რომ იმ ღირებულებათა შენარჩუნება-განვითარება, რომელთაც მომავალში ქართველი ხალხის კეთილდღეობა და უსაფრთხოება უნდა დაეფუძნოს, მხოლოდ განათლების სამართლიანი და ქმედითი სისტემის წყალობითაა შესაძლებელი. ამ კუთხით უმთავრესი პრობლემა განათლების სოციალური პოლიტიკაა, ამიტომაც ქრისტიან-დემოკრატების გამარჯვების შემთხვევაში გადაიდგმება შემდეგი ნაბიჯები:

1. სასკოლო სახელმძღვანელოები დაურიგდება ყველა ოჯახს, რომელიც არ იხდის ქონების დეკლარირებულ გადასახადს;
2. გაიზრდება სკოლების ვაუჩერული დაფინანსება, პედაგოგები უზრუნველყოფილი იქნებიან 900-ლარიანი საბაზისო ხელფასით, პორტატული კომპუტერებითა და სასკოლო სახელმძღვანელოებით;

3. ყველა სოფელში აღდგება სკოლა;
4. სახელმწიფო მხარს დაუჭერს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მათი საუნივერსიტეტო მომზადების სისტემის სრულყოფას (სამაგისტრო პროგრამების სახელმწიფო მხარდაჭერა, არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის კადრების მომზადების სპეციალური პროგრამის ამოქმედება);
5. დაიწყება მართლმადიდებლური კულტურის ისტორიის სწავლება სკოლებში;
6. საატესტაციო გამოცდების ჩაბარებით და მინიმალური კომპეტენციის დაკმაყოფილებით დაფინანსდება სწავლის საფასურის მინიმუმ 50%-ით, ხოლო მრავალშვილიანი ოჯახებიდან გამოსული, სოციალურად დაუცველი, მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრები სტუდენტები 100%-ით დაფინანსდებიან;
7. სწავლებაზე ჩერებულ სტუდენტებს მიენიჭებათ გამოცდების ჩაბარების უფლება და, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ექნებათ სახელმწიფოს ხარჯზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
8. სკოლამდელი აღზრდის სისტემა დაბრუნდება განათლების სამინისტროში და მას უზრუნველყოფს სახელმწიფო;
9. სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელებს მიენიჭებათ პედაგოგის სტატუსი;
10. გაიზრდება სახელობო სასწავლებლების დაფინანსება

3. დასაქმება: რა ნაბიჯებს გადადგამთ უმუშევრობის დასაძლევად?

ჩვენ უზრუნველყოფთ სამუშაოს ყველასთვის - გადამზადება და ღირსეული დასაქმება, ეს არის შეთავაზება ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს. ბიზნესთან პარტნიორობით ჩვენ შევქმნით მეტ სამუშაო ადგილს.

სამუშაო ყველასთვის სოციალური სამართლიანობის ამოსავალი წერტილია. სოციალური საბაზრო ეკონომიკა ითხოვს სრულ განაკვეთზე დასაქმებას, რისი შესრულების ვალდებულებაც უნდა ჰქონდეს სახელმწიფოსა და სატარიფო ხელშეკრულების მხარეებს.

უმუშევრობის პრობლემის დასაძლევად გვესაჭიროება არა მხოლოდ მეტი მდგრადი განვითარება, არამედ განათლებისა და გადამზადების სფეროში მიზანმიმართული გონივრული ინვესტიციები და შრომის ბაზრის ყოვლისმომცველი რეფორმა. რეფორმა გულისხმობს უმუშევრის სტატუსის სამართლებრივ განსაზღვრას და შესაბამისი შემწეობის შემოღებას.

საქართველოში სამუშაო ძალა 2 მილიონამდე ადამიანით განისაზღვრება, აქედან, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა მხოლოდ 650 ათასამდეა, მილიონზე მეტი ადამიანი ქვეყანაში თვითდასაქმებულია და მხოლოდ 300 ათასი კაცი ითვლება უმუშევრად. ჩვენ არ ვეთანხმებით ამგვარ ფორმულირებას, რადგან მიგვაჩნია, რომ მილიონი თვითდასაქმებულიდან უმრავლესობა რეალურად უმუშევარია. ჩვენი სოფლის მეურნეობის კონცეფცია გულისხმობს წვრილი საგლეხო მეურნეობიდან მსხვილ ფერმერულ მეურნეობაზე გადასვლას. სახელმწიფო წახალისებს კოოპერაციებს, შედეგად, მილიონი თვითდასაქმებულიდან 2017 წლამდე ყოველწლიურად 100 000 ადამიანი დაემატება დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობას.

ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის გადამწყვეტია სწორი სატარიფო პოლიტიკა. ენერგომატარებლებზე, ელექტროენერგიაზე და გაზზე ტარიფების შემცირება თავისთავად ნიშნავს საქართველოში წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ქართულსავე ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდას. პროდუქციის თვითღირებულების 5-8%-ით შემცირების შემთხვევაში, უახლოეს 3-4 წელიწადში გააორმაგებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და, დამატებით, ყოველწლიურად 50 000 ახალ სამუშაო ადგილს შექმნის.

4. *ჯანდაცვა:* რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?

ჯანდაცვის სისტემა უნდა გახდეს ხელმისაწვდომი საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის, მისაღები და კომფორტული - სამედიცინო პერსონალისთვის, სადაზღვევო სექტორისთვის, ფარმაცევტული ბაზრისთვის. ჩამოყალიბდეს სამედიცინო დახმარების მიწოდებისა და მართვის ახალი, ოპტიმიზებული, გამჭვირვალე და ღია სისტემა, სადაც რაციონალურად იქნება გამოყენებული არსებული ფინანსური სახსრები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პროფესიული კადრები. ჯანდაცვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს:

- სამედიცინო დახმარების სრული ხელმისაწვდომობა;
- ფინანსური რისკებისგან დაცვა;
- სამართლიანობა;
- სამედიცინო დახმარების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.

ჯანდაცვის ახალი სისტემის ჩამოსაყალიბებლად, მიზანშეწონილია, საქართველოს მთელი მოსახლეობა დაიყოს კატეგორიებად, განხორციელდეს ე.წ. სუბსიდირების პრინციპი: სახლმწიფო სრულად ეხმარება მათ, ვისაც თვითონ არ შეუძლია უზრუნველყოს თავისი ჯანმრთელობა და, ამავე დროს, ხელს უწყობს დანარჩენ მოსახლეობას სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობაში. შესაბამისად, გამოიყოფა მოსახლეობის ორი ძირითადი ჯგუფი:

- პირველი ჯგუფში (უმწეო მოსახლეობა) გაერთიანდებიან ადამიანები, რომლებსაც ასაკის, ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ, უზრუნველყონ თავიანთი ჯანმრთელობა. ესენია:
 - ბავშვები 0-18 წლამდე;
 - ასაკობრივი პენსიონრები;
 - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;
 - ომისა და შრომის ვეტერანები, ძალოვანი სტრუქტურის პენსიონრები (მეორე სამამულო ომის ყველა ვეტერანი, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეები, სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო პირები - ვეტერანები);
 - სტუდენტები;
 - მრავალშვილიანი ოჯახები;
 - დევნილები;
 - მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრებლები.

- მეორე ჯგუფი გააერთიანებს საქართველოს ყველა დანარჩენ მოქალაქეს (მათ შორის, დასაქმებული, თვითდასაქმებული)

ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირება განხორციელდება როგორც პროგრამული დაფინანსების წესით, ასევე, კერძო სადაზღვევო სექტორის მეშვეობით.

საქართველოს მთელი მოსახლეობა, ორივე ჯგუფი, მიიღებს მომსახურების უნივერსალურ საბაზისო პაკეტს, რომლის მიწოდება განხორციელდება პროგრამული დაფინანსების გზით. უნივერსალური საბაზისო პაკეტის ზევით, პირველი ჯგუფი (ბავშვები, პენსიონრები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უმუშევრები, ომის ვეტერანები, სტუდენტები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები, მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრებლები), ასევე, მიიღებს დამატებით პაკეტს, რომელიც მოიცავს აუცილებელ სადიაგნოსტიკო, სამკურნალო-სამედიცინო, ამბულატორიულ, სტაციონარულ გადაუდებელ (დამატებით) და გეგმურ დახმარებას, უზრუნველყოფილი იქნება აუცილებელი მედიკამენტებით, რასაც არ ითვალისწინებს უნივერსალური საბაზისო პაკეტი.

მეორე ჯგუფს (დანარჩენი მოსახლეობა ანუ დასაქმებული და თვითდასაქმებული) შეეძლება, უნივერსალური საბაზისო პაკეტის ზევით, შეიძინოს სადაზღვევო ჯანმრთელობის პაკეტი, რომლის მოცულობასა და ღირებულებას განსაზღვრავს სახელმწიფო.

დამატებით პაკეტებს, როგორც პირველი, ასევე მეორე ჯგუფისთვის შეისყიდებიან კერძო სადაზღვევო კომპანიები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ ჯგუფს დაზღვევის პოლისის თანხას დაუფარავს სახელმწიფო, ხოლო მეორე ჯგუფი თავად შეიძენს ან გადაუხდის დამსაქმებელი.

საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი უნივერსალური საბაზისო პაკეტი მოიცავს:

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამებს (მათ შორის, მოსახლეობის იმუნიზაციავაქცინაცია, სხვადასხვა სკრინინგ პროგრამა);
2. პირველად ჯანდაცვას (ამბულატორიულ-პოლიკლინიკური სამედიცინო მომსახურება, ოჯახის ექიმის ინსტიტუტი);
3. სასწრაფო სამედიცინო დახმარებას (ამბულანს-სერვისი და კატასტროფის მედიცინა);
4. გადაუდებელ (ურგენტული) სამედიცინო დახმარებას;
5. ფსიქიატრიულ დახმარებას (მენტალური ჯანმრთელობა);
6. მწვავე ინფექციური დაავადებების მკურნალობას;
7. ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის მკურნალობას;
8. ტუბერკულოზის მკურნალობას ;
9. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობას (ორსულობის მონიტორინგი, გართულებული მშობიარობა);
10. აივ ინფექცია/შიდსის მკურნალობას ;
11. C ჰეპატიტის პროფილაქტიკასა და მკურნალობას;

12. ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკას, მკურნალობას, პალიატიურ დახმარებასა და ჰოსპისის (hospice - დავრდომილთა თავშესაფარი) მომსახურებას;
13. კარდიოქირურგიულ მკურნალობას;
14. სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების (STD) მკურნალობას;
15. დიალიზის პროგრამას;
16. ბავშვთა სტომატოლოგიურ დახმარებას;
17. პენსიონრების სტომატოლოგიურ პროტეზირებას;
18. იშვიათი დაავადებების მკურნალობას;
19. 18 წლამდე ბავშვების საზღვარგარეთ მკურნალობას;
20. სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

5. სოციალური უსაფრთხოება: რა ინიციატივებით (თუკი ასეთი გაქვთ) გამოდიხართ სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?

სოციალური უსაფრთხოება გულისხმობს:

- ასაკობრივი პენსიების ზრდას: 2014 წელს იქნება 200 ლარი, 2015 წელს – 220 ლარი, 2016 წელს - 240 ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობის პირების, მარჩენალდაკარგულების, ობლების პენსიების ასაკობრივ პენსიასთან გათანაბრებას;
- დაუბეგრავი მინიმუმის შემოღებას და საარსებო მინიმუმთან გათანაბრებას;
- უმუშევრის სტატუსის განსაზღვრას და შესაბამისი შემწეობის შემოღებას;
- ენერგომატარებლებზე ტარიფების შემცირებას ;
- ძალოვანი სტრუქტურის პენსიონრების პენსიების გადაანგარიშებას;
- შიდა ვალების გასტუმრებას - კოოპერატიული ბინათმშენებლობების პროგრამა, 1998-2004 წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანებების გასტუმრება, რეგრესის პენსიონრების და წარმოებით დაზარალებულთა კომპენსაციის გაცემა.

6. ეკონომიკა: როგორია თქვენი გეგმა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული თქვენს ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტული ინიციატივები გაქვთ?

ჩვენს ეკონომიკურ სტრატეგიაში პრიორიტეტული მიმართულებებია:

- დასაქმება;
- საბიუჯეტო ხარჯების რაციონალიზაცია;
- საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით - პროგრესული გადასახადებისა და დაუბეგრავი მინიმუმის ამოქმედება;
- კონკურენციის ხელშეწყობი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება;
- მცირე ბიზნესის ხელშეწყობა კონკრეტული საგადასახადო ინიციატივით;
- თავისუფალი ბიზნესის უკეთესი დაცვის მექანიზმების ფორმირება/გაძლიერება;
- მიზნობრივი იაფი სესხების უზრუნველყოფა;

- სამართლიანი დაბალი ტარიფების ფორმირება.

7. ეკონომიკა: როგორ აპირებთ ინფლაციის კონტროლს? რა მიდგომებს გამოიყენებთ ამისათვის?

ქვეყანაში მონეტარული პოლიტიკის განმხორციელებლად კვლავ ეროვნული ბანკი გვესახება. შესაბამისად, ეროვნული ბანკის მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რაც ინფლაციის ზომიერი ტემპებით მიიღწევა. ამასთან, ინფლაცია პროგნოზირებადი უნდა იყოს, რათა მოსახლეობაში არ გაჩნდეს ინფლაციური მოლოდინის განცდა. ჯამში, ზომიერი და პროგნოზირებადი ინფლაცია უზრუნველყოფს ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. შესაბამისად, ინფლაციის კონტროლის უზრუნველსაყოფად მიგვაჩნია მონეტარული პოლიტიკის მოქმედი ეფექტური ინსტრუმენტები: რეფინანსირების სესხები, ოპერაციები ღია ბაზარზე, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, სავალუტო აუქციონები და ა.შ.

8. გადასახადები და ფისკალური პოლიტიკა: გთხოვთ, აღწეროთ თქვენი პოლიტიკა საგადასახადო და ფისკალურ რეჟიმთან მიმართებაში და დაასახელოთ/განიხილოთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) ამ მხრივ.

ჩვენი პრინციპია სამართლიანი გადასახადები. ჩვენ გადავიხდით უფრო ნაკლებს უფრო ბევრნი - ავამოქმედებთ სოციალურად სამართლიან პროგრესული დაბეგვრის რეჟიმს. მოქმედი საშემოსავლო გადასახადი ოცი პროცენტის ნაცვლად იქნება 10-20 პროცენტის ფარგლებში. ასევე, ვაუქმებთ ქონების გადასახადს, თუმცა, საშემოსავლო გადასახადს დაემატება +5 პროცენტი „მდიდრების გადასახადი“ იმ ადამიანებისთვის, რომელთა წლიური შემოსავალი 100 000 ლარს აღემატება.

ჩვენი მიზანია, არანაირი გადასახადით არ იბეგრებოდეს მცირე ბიზნესი. 2017 წლის 1 იანვრამდე მცირე ბიზნესი არანაირი გადასახადით არ უნდა იბეგრებოდეს 100 000 ლარიანი ბრუნვის ფარგლებში. ამ დროს არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა საქმიანობის სფეროსა და დაქირავებით დასაქმებულებს. ამასთან, მცირე ბიზნესი შეუფერხებლად უნდა სარგებლობდეს ყველა საგადასახადო დოკუმენტით. პრინციპი უნდა იყოს: აღირიცხება, მაგრამ არ იბეგრება. 100 000-დან – 200 000 ლარამდე ბრუნვის მქონე მცირე ბიზნესი პროგრესული დაბეგვრის რეჟიმში მოექცევა (მოგების გადასახადი 5-15 პროცენტი) და მხოლოდ 200 000 ლარიანი ბრუნვის შემდგომ დაუბრუნდება ქვეყანაში მოქმედ დაბეგვრის სრულფასოვან რეჟიმს. აღნიშნული მიდგომით ჩვენ ვქმნით ახალ შესაძლებლობას ბიზნესისთვის.

ჩვენ უზრუნველყოფთ დაუბეგრავე მინიმუმის ამოქმედებას. ქვეყანაში უნდა განისაზღვროს შემოსავლის ის ოდენობა, რომელიც შემოსავლის წყაროს მიუხედავად არ დაიბეგრება არანაირი გადასახადით. დაუბეგრავე მინიმუმი საარსებო მინიმუსს არ უნდა ჩამოუვარდებოდეს.

9. სახელმწიფო ხარჯები: დაასახელოთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, თუკი გაქვთ გამოკვეთილი ასეთი პოზიცია.

ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისთვის აუცილებელია მშპ-ში სახელმწიფო ხარჯების ხვედრითი წილის შემცირება. ეს ნიშნავს სახელმწიფოს შესაძლებლობების კონცენტრირებას მის ძირითად ფუნქციებზე. ყოველივე აღნიშნული მოითხოვს სახელმწიფოს ფუნქციების უკეთ დაზუსტებასა და ხარჯების რაციონალიზაციას. სასურველია, სახელმწიფო ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის 20-25 პროცენტს არ აღემატებოდეს.

10. სახელმწიფო ვალი და საბიუჯეტო დეფიციტი: როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ? რა პოლიტიკას გაატარებთ ამ მიმართებით?

მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების უმრავლესობის უმთავრესი წყარო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი იყო. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, თავის მხრივ, აიძულებს მთავრობებს, მიმართონ სახელმწიფო (შიდა და საგარეო) ვალის პოლიტიკას. საბიუჯეტო დეფიციტის შესამცირებლად უმთავრეს გზად სახელმწიფო ხარჯების რაციონალიზაცია მიგვაჩნია. არამართლზომიერი სახელმწიფო ხარჯების მინიმიზაციის ფონზე შესაძლებელია საბიუჯეტო დეფიციტის მინიმიზაცია/აღმოფხვრა და, შესაბამისად, შიდა და საგარეო ვალის მომსახურებისთვის განკუთვნილი ხარჯების ზრდა. ქვეყანამ სახელმწიფო ვალი მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროებისთვის (მომგებიანი ინფრასტრუქტურული პროექტი, კრიზისი) უნდა აიღოს.

11. ეკონომიკა: გთხოვთ, დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც 2016 წელს შესაძლებელი იქნება შეფასდეს თქვენი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის შედეგები.

სოციალური საბაზრო ეკონომიკა არის ჩვენ მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კეთილდღეობას ყველასთვის. ამ მოდელის გამოყენებით ჩვენ უზრუნველვყოფთ 2012-2017 წლებში წლიურად ეკონომიკის, საშუალოდ, 8-10 პროცენტთან ზრდას, რაც ყოველწლიურად ნახევარი მილიონამდე ლარის საბიუჯეტო შემოსავლებს უდრის. ჩვენი შეფასების კრიტერიუმია მშპ-ის ზრდის დასახელებული ტემპი და, შესაბამისად, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა. ყოველივე აღნიშნულს კი თან ახლავს უმუშევრობის შემცირება. ჩვენი დასაქმების პოლიტიკის შედეგად მილიონი თვითდასაქმებულიდან 2017 წლამდე ყოველწლიურად 100 000 ადამიანი დაემატება დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობას, ხოლო 300 000 უმუშევარი ადამიანიდან ყოველწლიურად 23 000 ადამიანი დასაქმდება დაქირავებით.

12. თავდაცვის პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია?

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯამური ბიუჯეტი იქნება არა უმეტეს 1 მილიარდი ლარისა (დღევანდელი 1,6 მილიარდის ნაცვლად):

- გაუქმდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა და ჯარი მთლიანად გადავა საკონტრაქტო სამსახურზე;

- 3-ჯერ შემცირდება შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა. ასევე შემცირდება შეიარაღებისა და აღჭურვილობის ხარჯები, რისი ნაწილიც მოხმარდება ოფიცერთა კორპუსის ნატოს სტანდარტებით განათლებას და სამხედრო ელიტის ჩამოყალიბებას. საქართველოს ეყოლება კარგად გაწვრთნილი პროფესიული არმია 10 000 კაცის ოდენობით, რომელიც მზად იქნება საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო, იმავდროულად, რამდენიმე ქვედანაყოფი განახორციელებს როტაციას საერთაშორისო მისიებში. რეზერვი განისაზღვრება 10 000 კაცის ოდენობით 2015 წლამდე, რის შემდეგაც რეზერვის რიცხოვნობა თანდათან გაიზრდება.

13. იძულებით გადაადგილებული პირები: რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?

სახელმწიფო გააგრძელებს იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრისების მშენებლობას. მიზანი უნდა იყოს ყველა პირის დაკმაყოფილება, მიუხედავად იმისა, სად ცხოვრობენ ისინი, სახელმწიფო თუ კერძო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში. იძულებით გადაადგილებული პირები შეინარჩუნებენ ელექტროენერჯის სუბსიდირებას (ყოველ სულზე 100 კვ. სთ. ოდენობით) და მიიღებენ სამედიცინო დაზღვევის გაუმჯობესებულ პაკეტს (იხ. ჯანმრთელობის დაცვის ნაწილი).

14. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: რა პოლიტიკის გატარებას აპირებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აუცილებელი პირობაა ქვეყნის დეოკუპაცია. ამ კუთხით მნიშვნელოვანია რუსეთთან მოლაპარაკების განახლება სარკოზი-მედვედევის 7-პუნქტიანი გეგმის შესრულების მოთხოვნით. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება არაღიარების პოლიტიკის შესანარჩუნებლად.

რუსეთთან ურთიერთობის აღსადგენად მნიშვნელოვანია ის საფრთხეები, რომელიც საქართველოს და რუსეთს ერთნაირად ემუქრება რელიგიური ექსტრემიზმისა და ფუნდამენტალიზმის სახით, ამიტომ კავკასიაში ამ მიმართულებით თანამშრომლობა პერსპექტიულია საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის პროცესის დაწყების პარალელურად. რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფაქტორი უნდა განიხილოს არა საფრთხედ, არამედ შემაკავებელ ფაქტორად, ისე, როგორც ეს ავღანეთში ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდაუვალი იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში დეზინტეგრაციული პროცესები თავად რუსეთის ფედერაციაში, რაც თავისთავადი საფრთხე იქნება საქართველოსთვისაც. ერთიანი საქართველო ძლიერი დასავლელი პარტნიორებით და ერთიანი რუსეთის ფედერაცია, დაცული რელიგიური და ნაციონალისტური საფრთხეებისგან, არის ორივე ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესში. ეს კონცეფცია შესაძლებელია, გახდეს საქართველო-რუსეთის შემდგომი მოლაპარაკებების, ქვეყნის დეოკუპაციისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საფუძველი.

15. უმცირესობათა უფლებები: რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?

უმცირესობათა მთავარი პრობლემა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციისთვის არის სახელმწიფო ენის არცოდნა. ამიტომაც სახელმწიფო გაასამმაგებს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის დაფინანსებას. ამასთან, სახელმწიფო დააფინანსებს ტრადიციულად ჩამოყალიბებული უმცირესობებისთვის ნაციონალურ ენებზე ბეჭდვითი გამოცემების ხელმისაწვდომობას, კულტურული კერების, სასწავლო და რელიგიური დაწესებულებების სუბსიდირებას მუნიციპალური და სახელმწიფო ბიუჯეტებიდან.

16. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში: ეუთოს წევრ სახელმწიფოთა შორის საქართველო ბოლო ადგილზეა საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის წევრ ქალთა რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გასაზრდელად.

ქრისტიან-დემოკრატების აზრით, უნდა გაძლიერდეს ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიებში (დაფინანსების გაზრდის არსებული სამოტივაციო სისტემა), ასევე, ქალი მაჟორიტარი კანდიდატების კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის აუცილებლად მიგვაჩნია სახელმწიფოს ჩარევით პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერა, კერძოდ, სააგიტაციო მასალის მომზადებასა, დაბეჭდვასა და გავრცელებაში.

17. გარემოს დაცვა/ეკოლოგია: გთხოვთ, გაგვაცნოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისკენ.

ამ საკითხზე პარტიის პოზიცია უცნობია.

საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები

18. საგარეო პოლიტიკა: გთხოვთ, განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და რა სტრატეგიის განხორციელებას აპირებთ ამ პრიორიტეტების რეალიზაციისთვის.

ქდმ მიისწრაფის საქართველოს უსაფრთხო, დემოკრატიულ და ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისკენ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევისკენ. საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოუდგენელია ნატოს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის გარეშე, დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარება და საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა კი ევროკავშირთან მჭიდრო ინტეგრაციის გარეშე. რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენას, ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესი როლი დაეკისრება ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების აქტიურ მონაწილეობას პროცესში. აქედან გამომდინარე, ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი იქნება საქართველოს ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში. თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმას, რომ ინტეგრაციის პროცესში საქართველომ

შეინაჩუნოს თვითმყოფადობა და ტრადიციული მემკვიდრეობა და არ შეილახოს ქვეყნის ეროვნული ინტერესები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მრავალვექტორიანი საგარეო პოლიტიკის წარმოება, რეგიონულ, კონტინენტურ თუ მსოფლიო კონტექსტში. ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ინდივიდუალური პარტნიორობის გაძლიერებას და ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნებთან, ასევე, აზიის ეკონომიკურად და პოლიტიკურად მძლავრ და გავლენიან მოთამაშეებთან. საქართველო კვლავაც აიღებს რეგიონში ლიდერი ქვეყნის ფუნქციას, აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სამშვიდობო ოპერაციებში და მუდმივად მიეხმარება და დაიცავს ჩვენს თანამემამულეებს საზღვარგარეთ.

19. სტრატეგიული თანამშრომლობა: რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის, სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

ქდმ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საგარეო პრიორიტეტი ქვეყნის ნატოში ინტეგრაციაა. აქედან გამომდინარე, სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით ნატო არის ერთადერთი ალიანსი, რომლისკენაც საქართველო ისწრაფის. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება ინდივიდუალური პარტნიორობისა და ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება სტრატეგიულ პარტნიორებთან, სამხედრო, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ასპექტებში. საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებად მიგვაჩნია ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირის ქვეყნები, განსაკუთრებით, გაერთიანებული სამეფო და ე.წ. აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნები, როგორებიცაა პოლონეთი, ჩეხეთი და ბალტიის ზღვის აუზის ქვეყნები.

მეორე მხრივ, საქართველო გააქტიურებს ურთიერთობებს ისეთ მსხვილ აზიურ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ძალებთან, როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთი და იაპონია. ეს არის ბაზარი, რომელიც უტოლდება მსოფლიოს ნახევარს და, ამავდროულად, ძალიან სერიოზულ საინვესტიციო ძალას წარმოადგენს.

იმისთვის, რომ ბოლომდე მოხდეს საქართველოს, როგორც ევროპასა და აზიას შორის ენერგო-სატრანზიტო დერეფნის რეალიზაცია, ჩვენმა ქვეყანამ განსაკუთრებით მეგობრული ურთიერთობები უნდა განავითაროს შუა აზიის რესპუბლიკებთან და შეინარჩუნოს კეთილმეზობლური ურთიერთობა ირანთან.

განსაკუთრებული ურთიერთობების შენარჩუნება და განვითარება უნდა მოხდეს საქართველოს ისეთ ტრადიციულად მეგობარ ქვეყნებთან, როგორებიცაა უკრაინა და ისრაელი. მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა და თანამშრომლობა ახალ ფაზაში უნდა გადავიდეს, რაც მეტ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სარგებელს მოუტანს როგორც საქართველოს, ასევე, მის პარტნიორებს.

რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების სრულად აღდგენა და ურთიერთობის ნორმალიზება კვლავაც იქნება ქდმ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი. ამ მხრივ უნდა გამოიკვეთოს ორი ქვეყნის საერთო ინტერესები და გააქტიურდეს დიალოგი საერთაშორისო ფორმატებში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპების სრული დაცვით.

20. რეგიონული თანამშრომლობა: *რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?*

საქართველო ყოველთვის ასრულებდა კავკასიის ცენტრისა და ლიდერის ფუნქციას და მომავალშიც უნდა მოხდეს ამ როლის სრული რეალიზაცია. საქართველოს თბილი და კეთილმეზობლური ურთიერთობები აქვს როგორც სომხეთთან და აზერბაიჯანთან, ასევე, თურქეთთან. ერთიანი კავკასია, როგორც სახელმწიფო, უტოპიური იდეაა, თუმცა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა უმეტესობას აქვს საერთო ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები. საქართველო უნდა გახდეს კავკასიის გამაერთიანებელი ეკონომიკურ ასპექტში, სტაბილურობის გარანტი რეგიონში და, ამავე დროს, შესარულოს დამაკავშირებელი ხიდის ფუნქცია კავკასიასა და ევროკავშირს შორის.

რაც შეეხება შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან თანამშრომლობას, საქართველომ ძალიან აქტიურად უნდა გამოიყენოს უკვე არსებული ფორმატები, ისეთები, როგორცაა სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია სუამი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სუამის ეკონომიკურ, სავაჭრო და ენერგეტიკულ ასპექტებს. ასევე, მნიშვნელოვანია აქტიურობა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის BSEC-ის მიმართულებითაც, რომელიც საქართველოს შეუძლია გამოიყენოს, როგორც კიდევ ერთი საერთაშორისო ფორმატი რუსეთთან დიალოგისთვის ეკონომიკურ ასპექტში.

21. უსაფრთხოების პოლიტიკა: *როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?*

ამჟამად, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მთავარ გამოწვევას ტერიტორიული მთლიანობისა და ოკუპირებული ტერიტორიების საკითხები წარმოადგენს. შესაბამისად, უსაფრთხოების ძირითადი პრინციპები, რომელიც გულისხმობს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკას, უნდა პასუხობდეს ამ პრობლემის მოგვარების შესაძლებლობის გაჩენას.

ქრისტიან-დემოკრატებს მიგვაჩნია, რომ ქვეყნის დეოკუპაცია უნდა წარიმართოს მოლაპარაკების მაგიდასთან, სადაც რუსეთთან დიალოგი შეეხება არა მხოლოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემებს, არამედ გლობალურ საფრთხეებს, რომლის წინაშეც უახლოესი ათწლეულის განმავლობაში იქნება თავად რუსეთი. კავკასიაში ნაციონალიზმის, აგრესიული სეპარატიზმისა და რელიგიური ექსტრემიზმის არსებობა ძირს უთხრის რუსეთის სახელმწიფოს საფუძვლებს. ამიტომაც, 12 წლის წინ პანკისის ხეობის პრობლემის მოგვარების პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნას კავკასიაში დასავლეთის, საქართველოსა და რუსეთის კოოპერაციის საფუძვლად, მით უფრო, მსგავსი თანამშრომლობა ნატოსა და რუსეთს შორის

მიმდინარეობს ავღანეთის საკითხის გარშემო. ერთიანი საქართველო ძლიერი დასავლელი პარტნიორებით და ერთიანი რუსეთის ფედერაცია დაცული რელიგიური და ნაციონალისტური საფრთხეებისგან არის ორივე ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესში. ეს კონცეფცია შესაძლებელია გახდეს საქართველო-რუსეთის შემდგომი მოლაპარაკებების, ქვეყნის დეოკუპაციის და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საფუძველი.

გთხოვთ, პირობითად გაანაწილოთ საქართველოს ბიუჯეტი თქვენი პოლიტიკის პრიორიტეტების მიხედვით:

სოციალური სფერო - 21%, ჯანდაცვა - 8%, განათლება - 10%, თავდაცვა და მართლწესრიგი - 10%, ენერგეტიკა - 10%, ინფრასტრუქტურა და რეგიონები - 15%, სოფლის მეურნეობა - 12%, რელიგია, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა - 4%, სხვა - 10% .